პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 195 (19636) ◆ სამშაბათი, 26 აგვისტო, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ᲛᲔᲬᲧᲓᲔᲡ ᲒᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ

ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

26 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართა პრესკონფერენცია საბჭოთა ტელევიზიით 18 აგვისტოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებასთან დაკავშირებით. იგი მოაწყვეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. მ. ვორონცოვმა, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, საბჭოთა კავშირის მარშალმა ს. ო. ახრომეევმა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის სამმართველოს უფროსმა გ. ი. გერასიმოვმა.

პრესკონფერენციაზე გამოვიდა ი. მ. ვორონცოვი, რომელმაც თქვა: მ. ს. გორბაჩოვის განცხადება განიარაღების კარდინალურ საკითხებზე, უწინარეს ყოვლისა საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთი საკვანძო პრობლემის— ბირთვული გამოცდების შეწყვეტის პრობლემის შესახებ, 1987 წლის 1 იანვრამდე ბირთვული აფეთქებების ცალმხრივი მორატორიუმის გახანგრძლივების გადაწყვეტილება მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია.

ყველა ქვეყნის მთავრობათა, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა, უბრალო ადამიანთა დიდი უმრავლესობა მტკიცედ უჭერს მხარს ბირთვული გამოცდების გადაუდებელ შეწყვეტას. მათ უპირისპირდება მხოლოდ იმ პირთა მცირე, მაგრამ ჯიუტი და გავლენიანი ჯგუფი ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლებიც მოითხოვენ იმას, რომ ბირთვული აფეთქებები აზანზარებდეს ჩვენს პლანეტას.

ვაშინგტონში ახლა ფრიად ნერვული ვითარებაა, გამოთქვამენ წინააღმდეგობრივ მოსაზრებებს შეერთებული შტატების მიერ ბირთვული აფეთქებების განგრძობის სასარგებლოდ. მაგალითად, თეთრი სახლის აპარატის ხელმძღვანელი დ. რეგანი აცხადებს, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები არც იყოს ბირთვული იარაღის გამოცდების საყოველთაო და სრული აკრძალვის ხელშეკრულების წინააღმდეგი, მაგრამ ამას ვერ დავეთანხმებით, თუ კონტროლის სათანადო სისტემა არ იქნებაო. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სხვა წარმომადგენლები უარყოფენ თეზის კონტროლის შესახებ და აშკარად ლაპარაკობენ იმაზე, რომ გამოცდები შეეთებულ შტატებს სჭირდება ბირთვული იარაღის სრულყოფისათვის. ვაშინგტონში დაიბნენ იმის თაობაზე მსჯელობაშიც, თუ ვინ ვის „ეწევა“ ბირთვული შეიარაღების დარგში.

არსებითად კი, ამერიკის შეერთებულ შტატებს არა აქვს გონივრული ახსნა-განმარტება, თუ რატომ არ უერთდება საბჭოთა მორატორიუმს, თუ, რა თქმა უნდა, არ ვაღიარებთ იმას, რომ ბირთვული აფეთქებანი ამერიკის შეერთებულ შტატებს სჭირდება მხოლოდ და მხოლოდ გამალებული ბირთვული შეიარაღების განგრძობისათვის, იმ ამაო ცდებში, რომ მიაღწიოს სამხედრო უპირატესობას.

და, რა თქმა უნდა, საქმე სულაც არ არის კონტროლი. საბჭოთა კავშირმა არსებითად წამოაყენა კონტროლის ყველა ფორმა, ჩვენი აზრით, საჭიროზე მეტიც კი. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები მაინც არ თანხმდება ბირთვული გამოცდების შეწყვეტას. როგორც ახლა ყველა ნათლად ხედავს, ვაშინგტონს აქ ამორრავებს არა ზრუნვა კონტროლისათვის, არამედ ცდა შექმნას საფარი იმისათვის, რომ განაგრძოს მუშაობა ახალი სახეობებისა და ტიპების ბირთვული იარაღის შესაქმნელად. ბოლო ხანს ასეთი მიზანი გახდა იმისათვის მზადება, რომ ბირთვული აფეთქების ენერგია გამოიყენონ „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის განსახორციელებლად.

მთელი პასუხისმგებლობით შეიძლება განვაცხადო, რომ საბჭოთა კავშირისათვის ბირთვული გამოცდების შეწყვეტისადმი კონტროლის პრობლემა არ არსებობს. ეს ნათლად ჩანს საბჭოთა კავშირ-ამერიკის კონტროლის ერთობლივი ექსპერიმენტის მაგალითითაც, რომელსაც სემიპალატინსკის რაიონში აწყობენ მეცნიერები. მორიგების ექსპერიმენტის შესახებ მხარი დაუჭირა საბჭოთა მთავრობამ, რომელმაც განაცხადა, რომ მზად არის მთლიანად შეუწყოს ხელი მის განხორციელებას ჩვენს ტერიტორიაზე. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია, ეტყობა, ჯერჯერობით მზად არ არის იმისათვის, რომ პარალელურად ისეთივე კონტროლის ექსპერიმენტი მოეწყოს ამერიკის ტერიტორიაზე.

საბჭოთა კავშირი დიდად აფასებს ექვსი სახელმწიფოს („დელის ექვსეულის“) — არგენტინის, საბერძნეთის, ინდოეთის, მექსიკის, შვეიცარიისა და ტანზანიის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ერთობლივ საქმიანობას ბირთვულ აფეთქებათა უსწრაფესი შეწყვეტის სასარგებლოდ. ჩვენ უკვე განვაცხადეთ, რომ მზად ვართ ვისარგებლოთ „დელის ექვსეულის“ წინადადებებითაც ბირთვული გამოცდების შეწყვეტის შემოწმებაში, მათ შორის ადგილებზე ინსპექციაში დახმარების გაწევის შესახებ, ბა თქმა უნდა, თუ ამას მეორე მხარეც მიიღებს. ჩვენ აგრეთვე განვაცხადეთ, რომ პოზიტიურად ვეკიდებით წინადადებას „ექვსეულის“ ექსპერტთა შეხვედრა საბჭოთა [illegible] ადგილზე [illegible] ინსპექციებზე [illegible] ეროვნული [illegible] ძალთა და ძალაურობათა მეთაურებისადმი მ. ს. გორბაჩოვის გუშინდელ პასუხში.

ახლა ყველა საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მორატორიუმის, შემდეგ კი შეთანხმების ან ხელშეკრულების გზით ერთხელ და სამუდამოდ შევაჩეროთ „ბირთვული ციებ-ცხელება“ დედამიწაზე. მორატორიუმის საკითხი ხომ უნდა იხილებოდეს არა იზოლირებულად, არა როგორც მარტო ბირთვულ აფეთქებათა შეწყვეტისათვის გამიზნული ღონისძიება, არამედ ბირთვული იარაღისაგან კატაკლიზმის ხსნის საერთო პრობლემის კონტექსტით, როგორც სრული ბირთვული განიარაღების თავისებური პროლოგი. ბირთვულ აფეთქებათა შეწყვეტა შეიძლება, ხატოვნად რომ ეთქვათ, გახდეს ერთი იმ ძაფთაგანი, რომლის მოწევითაც შეიძლება დავიწყოთ ბირთვული განიარაღების პრობლემის მთელი რთული გორგლის დაშლა. არ იქნება ასეთი აფეთქებანი — არ შეიქმნება ახალი ბირთვული იარაღიც, უკვე არსებულისათვის კი სერიოზული შეზღუდვები დაწესდება. და ეს თანაბარწლად შეიძლება როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებს, ისე სსრ კავშირსაც, გვინდა ვიქონინოთ იმედი, რომ საბოლოო ანგარიშით ჯანსაღი აზრი მაინც გაიმარჯვებს ვაშინგტონში და ხელიდან არ გაუშვებენ ისტორიულ შანსს გამალებული შეიარაღების შეწყვეტის გზაზე.

ჩვენ კვლავ ვიმეორებთ, რომ შეიძლება, ამისთან მოკლე ვადებში, დავდოთ შეერთებულ შტატებთან შეთანხმება ბირთვული გამოცდების შეწყვეტის შესახებ სრული კონტროლის პირობებში, მათ შორის ადგილებზე ინსპექციით. ასეთი შეთანხმება შეიძლება დაიდოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრაზე, რომელიც, როგორც არაერთგზის განუცხადებია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს, შესაძლებელია, თუ ამისათვის შეიქმნება სათანადო პოლიტიკური ატმოსფერო უზრუნველყოფილი იქნება მისი შედეგიანობა.

შემდეგ პასუხი გასცეს ჟურნალისტთა მრავალ კითხვას. (საპდსი).

ᲛᲨᲕᲔᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲓᲦᲔᲘᲡᲝ, ᲒᲐᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

ᲓᲐᲠᲐᲡᲢᲣᲠᲘ უნდა იყოს საჭირო იმის შესწავლა, რომ საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის, მათი დროული საექსპლოატაციოდ გადაცემის მხვლელობა ჩვენი პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი, განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია. ამის შესახებ მითითებულია სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის გადაწყვეტილებებში, უკანასკნელ ხანებში ამ მხრივ მიღებულ მთელ რიგ საგანგებო დადგენილებებში, სხვა დოკუმენტებში.

არასახიერთო მდგომარეობა შეიქმნა მშენებლობაში. ვერ შესრულდა საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საბავშვო ბაღების, ბავშვთა დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკების ამოქმედების ვერც ნახევარი წლისა და ვერც შვიდი თვის გეგმები. იანვარ-იულისში რესპუბლიკაში საექსპლოატაციოდ გადაეცა 394,6 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც ცხრა თვის გეგმის 49 პროცენტს და წლიური გეგმის 30 პროცენტს შეადგენს. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით საექსპლოატაციოდ გადაეცა 25,6 კვადრატული მეტრით, ანუ 6 პროცენტით ნაკლები საცხოვრებელი ფართობი, და ეს მეტად დამაფიქრებელი ფაქტია.

სამწუხაროდ, როგორც ზემოთ ითქვა, მდგომარეობა არც სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის მხრივ გვაქვს სახარბიელოდ. მიმდინარე წლის ცხრა თვის გეგმით ვათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 22,8 ათასი სამოსწავლო ადგილიდან მხოლოდ 4,3 ათასი სამოსწავლო ადგილია მწყობრში, რაც შეუსრულა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებს ცხრა თვის დავალებით ნაკარუდევი 6655 ათასი ადგილიდან 2776 ადგილია მწყობრში. დიდი ჩამორჩენაა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, საავადმყოფოების და პოლიკლინიკების ამოქმედების მხრივაც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა ამ ჩამორჩენის მიზეზი და მკაცრად გააკრიტიკა ცალკეული ხელმძღვანელები, რომლებიც ვერ ასრულებენ გეგმებს, დაამტკიცა დამატებითი ღონისძიებები, რომელთა განხორციელებამ უნდოდ უზრუნველყოს ზემოხსენებული ობიექტების ამოქმედების პროგრამის შესრულება. რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონს განსაზღვრა ყოველთვიურად საექსპლოატაციოდ გადასაცემი საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საბავშვო ბაღ-ბაღების, პროფტექნიკური სასწავლებლების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკების მოცულობა.

კადასაბრელია სამშენებლო ობიექტების მუშახელით უზრუნველყოფისა და მანქანა-მექანიზმების მაქსიმალურად გამოყენების პრობლემები, ამ საკითხების მოგვარებას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება.

დროა ყველა სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა შეიგნოს, რომ მოსახლეობის საცხოვრებელი პირობებია და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტებით დროული უზრუნველყოფა პარტიის განსაკუთრებული საზრუნავია. ვისაც ეს არ სურს გაიგოს, მკაცრად მოეკითხება. მათ შორის იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელებსაც, რომლებიც საიჯარო სამუშაოებს მთლიანად წარმატებითაც კი ასრულებენ, მაგრამ ნაკლებად ზრუნავენ საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების ამოქმედებაზე.

გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 17 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილ კორესპონდენციაში „თავიდანვე რომ ეზრუნა“... გაკრიტიკებული იყო „აფხაზმშენის“ ტრესტის № 144 მოძრავ-მექანიზებული კოლონის ხელმძღვანელობა, კოლექტივი, რომლებმაც თავიდანვე ვერ გაამაღლეს ქ. გუდაუთაში სკოლის მშენებლობისათვის საჭირო სამუშაო ფრონტი. მათ თითქმის წელიწადი მარტო მოსამზადებელ სამუშაოებს მოანდომეს. ძირითადი ყურადღება გამახვილებული პქონდათ სხვა ობიექტების მშენებლობაზე. როცა ახალი სასწავლო წლის დამთავრებამდე მხოლოდ ერთი თვეღა რჩებოდა, სკოლის მშენებლობისათვის გამოყოფილი 460 ათასი მანეთიდან მხოლოდ 260 მანეთი პქონდათ ათვისებული. ახლა სკოლის მშენებლობაზე მრავალი ადამიანია დასაქმებული, მაგრამ მისი საექსპლოატაციოდ დროული გადაცემა, ცხადია, ვერ მოხერხდება. გარდა ამისა, იერიშობანათი გაკეთებული საქმის ხარისხზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია.

საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების დროული საექსპლოატაციოდ გადაცემის საკითხი რესპუბლიკის სხვა რეგიონებშიც საკმაოდ მოიკოჭლებს, მაგრამ აფხაზეთში ამ მხრივ არსებულ ხარვეზებზე ლაპარაკი იყო აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე, რომელზეც განიხილეს შვიდი თვის მანძილზე რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულების შედეგები და მიმდინარე წლის მესამე კვარტალის საგეგმო დავალებათა უფრო რეალიზაციის ღონისძიებანი.

კერძოდ, აღინიშნა, რომ გრძელდება დავალებათა კორექტირების მანკიერი პრაქტიკა. მთელი რიგი სასკოლო შენობების საექსპლოატაციოდ გადაცემას მშენებლები აპირებენ დეკემბერში, მაშინ როცა ისინი ჯერ კიდევ პირველ იელისამდე უნდა ჩამდგარიყვნენ მწყობრში. დღემდე პატრონი არა პყავს გაგრაში მშენებარე სკოლას, რომელიც პროგრამაშიდან „ამოუვარდათ“ მშენებლობის სამინისტროსა და „საქგრომშენს“, როცა მოვალეობებსა და ვავლენის სფეროებს ინაწილებდნენ.

სამწუხაროდ, ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე, ხშირად კიდევ ასე ხდება: საქმე ჩაშლილია, დამნაშავეები კი ვერ მოუძებნიათ, პასუხისმგებლობა რამდენიმე ათეულ შემსრულებელს შორისაა განაწილებული. კონკრეტული საქმისათვის პასუხს უნდა აგებდეს კონკრეტული ხელმძღვანელი — მხოლოდ ასე შეიძლება დაისვას დღეს საკითხი. კიდევ და კიდევ აღინიშნა ხაზგასმით, რომ ბევრი რამ არის დამოკიდებული კადრებზე, მათს უნარზე იმუშაონ გარდაქმნის პირობებში, მასვების ინიციატივის გაშლაზე. ერთი სიტყვით, წარმატებას მაშინ მივაღწევთ, როცა მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობა საერთო იქნება, მომთხოვნელობა კი კონკრეტული.

ღრმა თვისებრივი ცვლილებები, რომლებიც განამტკიცებდა დაჩქარებული ზრდის ტენდენციას, ჯერჯერობით, სამწუხაროდ, არ მომხდარა. გასული პერიოდის შედეგები თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ ცალკეული პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები არათუ არ გარდაქმნებიან, არამედ ფაქტობრივად ამისათვის მზად არც არიან. რესპუბლიკის ინდუსტრიაში ყოველთვიურად იზრდება იმ შრომითი კონფლიქტების რიცხვი, რომლებიც ვერ ასრულებენ დავალებებს, ჩამორჩენილი წარმოებანი არის ყველა ავტონომიურ ფორმირებაში, დიდ ქალაქებში, რესპუბლიკის ბევრ რაიონში. საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის თაობაზე ზემოთ ნათქვამი მშენებლებსაც ეხება.

პარტიული კომიტეტები სრულად ვერ ფლობენ ვითარებას ადგილზე, ხშირად თავს ვერ ართმევენ შრომითი და საწარმოო პრეტენციათა ამოქმედების ამოცანას. საკმაოდ აქტიურად არ წარმოთქვა ცოცხალი, კონკრეტული მუშაობა ადამიანებთან მათი პასუხისმგებლობისა და ინიციატივის გასაძლიერებლად.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და, კერძოდ, მშენებლობის წინაშე დასახული ამოცანები რთული და პასუხსაგებია. პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობა უნდა მოსმარდეს იმას, რომ თითოეულ კოლექტივში შეიქმნას დიდი პრინციპულობის, ნაკლოვანებებისა და ხარვეზების უსწრაფესი აღმოფხვრისათვის განწყობილების ატმოსფერო.

ამოცანა ის არის, რომ მაქსიმალურად მოკლე დროში დავძლიოთ საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაში დაშვებული ჩამორჩენა. რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტმა, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, ამიერკავკასიის რკინიგზამ, საშენ მასალათა მრეწველობის, სე-ტყისა და ხის დამამუშავებელი, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებმა ყველაფერი უნდა იღონონ საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების საჭირო მასალებით უზრუნველყოფისათვის. ცხადია, გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან საშუალო ტვირთის დაჩქარებაში რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტრომ და „საქგრომშენის“ რესპუბლიკურმა გაერთიანებამ.

ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐᲖᲔ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲘᲪᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲡᲣᲤᲔᲕᲓᲔᲡ

საბჭოთა ტელევიზიით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ მთელ პლანეტას კიდევ ერთხელ დაუმტკიცა სამშვიდობო პოლიტიკისადმი ჩვენი ერთგულება, მილიონობით ადამიანს ¡განუმტკიცა უსაფრთხო მომავლის რწმენა და იმედი.

და მიუხედავად იმისა, რომ კვლავ მთელი დატვირთვით მუშაობს ¡მილიტარიზმის სამხედრო მანქანა, მზადდება უმძლავრესი მომაკვდინებელი იარაღის ახალი პარტიები, ნევადაში ისმის ბირთვული აფეთქებები, მჯერა, ყოველ შემთხვევაში, მსურს ვირწმუნო, რომ მთელ მსოფლიოში ჩვენს სასარგებლოდ შექმნილი საღი სა-

საღი აზრი გაიმარჯვებს

ზოგადოებრივი აზრი გონს მოიყვანს ამერიკელ იმპერიალისტებს და მათს დასავლელ მოკავშირეებს, დააოკებს იმპერიულ ამბიციებს, შესაძლებელს გახდის უმაღლეს დონეზე სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებას.

ჩვენს გაერთიანებაში სხვადასხვა სნეულების საწინააღმდეგო ხუთასამდე დასახელების პრეპარატი მზადდება, გეგმაზე ყველა მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით ვასრულებთ. მაგრამ ჩვენი გულწრფელი სურვილია ეს წამლები არასოდეს დასჭირდეთ ადამიანებს ომით მიყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად.

ამიტომაც ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს ახალ საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივას და კვლავაც ყოველ ღონეს ვიხმართ ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებისათვის.

დ. კვინტრაძე,
„საქმიოფარმპრეპარატების“ საწარმოო გაერთიანების მეთაური ქარხნის გენერალური დირექტორის მოადგილე, ეკონომიკური განათლების მეთოდიკური საბჭოს თავმჯდომარე.

როდემდე ცდით ჩვენს ნებისყოფას?

დიახ, როდემდე? ვეკითხები ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობას. რატომ აძლევთ თქვენს თავს ამის უფლებას, რომ არაფერად აგდებთ ჩვენი ქვეყნის მიერ შემოთავაზებულ დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ ყოველისმომცველ წინადადებებს და პროგრამებს?!

გაიგეთ, ბოლოს და ბოლოს, რომ საბჭოთა ტელევიზიით მ. ს. გორბაჩოვის ¡განცხადება ჩვენი მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის თითოეული წარმომადგენლის განცხადებაა. ვიცით, რომ თვით ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არ სურს ომი, თქვენ კი მათაც არ უწევთ ანგარიშს.

ისიც ვიცით, რომ ოკეანის გაღმა მოქმედებენ ძალები, რომლებსაც საერთოდ არ აძლევთ ხელს განიარაღება. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ჩაგვთრიონ ომ გამლაღული შეიარაღების ახალ-ახალ ეტაპებში, გაგვაღებინონ დიდი ხარჯები. ამიტომ მათზე ზეგავლენა უპირველესად, თვით ამერიკელმა ხალხმა უნდა მოახდინოს. ბირთვული ომის ცეცხლი არც შეიარაღების მომხრეებს დაინდობს.

რაც შეეხება საბჭოთა ხალხს, იგი შრომის დიდ ფერხულშია ჩაბმული და ამით მშვიდობისათვისაც იბრძვის. საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მოუთმენლად ელიან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დადებით პასუხს. ვიდრე ეს ასე არ მოხდება ერთი წუთითაც არ შევანელებთ მშვიდობისათვის ბრძოლას, ვიშრომებთ გასამკეცებული ენერგიით ქვეყნის ეკონომიკური ძლიერებისათვის, თავდაცვითუნარიანობის განმტკიცებისათვის.

ი. სარიშვილი,
„საქსამთოქმმრეწვის“ საწარმოო გაერთიანების ოტაკოსი, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ კუთილი ნების ადამიანი, რა თქმა უნდა, უდიდესი სიხარულითა და კმაყოფილებით შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას გააგრძელონ ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივი მორატორიუმი 1987 წლის 1 იანვრამდეი, უკვე მერამდენედ მიდის ჩვენი სახელმწიფო დათმობაზე და ამას აკეთებს მხოლოდ იმიტომ, რომ ზედმიწევნით ესმის, თუ რა გაუგონარი უბედურება შეიძლება დაატეხოს მსოფლიოს ახალმა ომმა.

მსოფლიო სიმშვიდეს მოითხოვს

ნუთუ ოკეანის გაღმა არ მოიძებნებიან ძალები, საბოლოოდ რომ მოახდენდნენ ზეგავლენას იმათზე, ვინც არად აგდებს დღევანდელ და მომავალ თაობათა ბედიღბალს, არად აგდებს მსოფლიო ცივილიზაციის მონაპოვართ, საუკუნეთა მანძილზე რომ შექმნილა ადამიანის ნიჭითა და მარჯვენით.

იქნება, დაუფიქრდნენ ოკეანის გაღმა ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვებს: „საბჭოთა ხალხის სახელით მივმართავ ამერიკელთა გონებასა და ღირსებას ხელიდან არ გაუშვენ ერთხელ კიდევ ისტორიული შანსი გამალებული შეიარაღების შეწყვეტის გზაზე“.

სხვა გამოსავალი არ არსებობს. დროა, ბოლო მოეღოს უნდობლობისა და ეჭვის პოლიტიკას, მსოფლიო სიმშვიდეს მოითხოვს.

ვ. ბერიძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი.

ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲚᲝᲒᲘᲙᲐ

ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ნების ყველა ადამიანი მხურვალედ მიესალმება საბჭოთა მთავრობის ახალ სამშვიდობო ინიციატივას ბირთვულ აფეთქებათა მორატორიუმის გაგრძელების შესახებ. მიღებული გადაწყვეტილება კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა ჩვენი პარტიის საგარეო და საშინაო პოლიკის სიტყვისა და საქმის ერთიანობისა. რაიონის შრომითმა კოლექტივებმა მოაწყვეს მიტინგები, რომლებზეც მშრომელები ერთსულოვნად მიესალმნენ ამ ახალ დიდმნიშვნელოვან წესებულ მშვიდობის განმტკიცების საქმეში და აღნიშნეს, რომ ეს ნაბიჯი უნდა განმტკიცდეს კონკრეტული შრომითი წარმატებებით. ამიტომ თბილისის ოქტომბრის რაიონის საწარმოთა მუშებმა იკისრეს ვალდებულება: იმუშაონ უკეთ, შექმნან მაღალხარისხოვანი პროდუქცია. მუშათა კლასის სახელით ეს ერთ-ერთმა პირველმა განაცხადა ქალაქ თბილისის მშრომელთა მიტინგზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მკერავმა მაია კალმახელიძემ.

სიტყვისა და საქმის ერთიანობა ის პრინციპია, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ განახლებისა და გარდაქმნისათვის ბრძოლის პასუხსაგებ გზაზე, ყოველდღიურად მუყაითად ვიმუშაოთ ხალხთან, მათი შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის გასაძლიერებლად, აღვზარდოთ და განვაახლოთ ხელმძღვანელი კადრები — ეს არის ახლა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების უპირველესი ამოცანა. დღეიდან ჩვენ ახლებურად წარვმართავთ მშრომელთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სწავლებას. მკაცრად უნდა მოვკითხოთ იმათ, ვინც წარმოებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მთელი ენერგიით არ მუშაობს, პასიურობს.

დიახ, აქტიურად უნდა ვიმოქმედოთ, შემოქმედებითად, მთელი პასუხისმგებლობით უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რათა ჩვენს ცხოვრებაში სასიკეთო ძირეული გარდაქმნები უკვე უახლოეს დროში მოხდეს.

და ყოველივე ამისათვის საბჭოთა ხალხს სჭირდება მშვიდობა, მხოლოდ მშვიდობა!

ვ. იანკოვსკაია,
საქართველოს კომპარტიის თბილისის ოქტომბრის რაიონკომის მეორე მდივანი.

ᲕᲣᲔᲠᲗᲓᲔᲑᲘᲗ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ტელევიზიით გამოსვლამ, მისმა განცხადებამ შეიარაღების შეწყვეტისა და ცალმხრივი მორატორიუმის ვადის გაგრძელების თაობაზე ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ ადგას სამშვიდობო პოლიტიკის მყარ კურსს, ზრუნავს ადამიანთა მომავლისათვის.

ვაჭრობის მუშაკებიც ვუერთდებით კეთილი ნების საყოველთაოსახალხო მოძრაობას. ვგმობთ რეჟანის ამბიციურ, მილიტარისტულ პოლიტიკას, მთლიანად ვიწოლებთ ქვეყნის სამშვიდობო ღონისძიებებს, მხარში ვუდგავართ ჩვენს ნაკად პარტიასა და ხალხს. თავდადებული შრომით, პარტიის მოწოდებათა განუხრელი შესრულებით ვეცდებით ვამრავლოთ სახალხო დოვლათი, რათა ჩვენი წვლილი შევიტანოთ სამშვიდობო საქმეში.

შ. ცქიტიშვილი,
თბილისტანსაცმელსაჩრდილოების № 41 მაღაზიის დირექტორი, ვაჭრობის წარჩინებული მუშაკი.

მშვიდობისმოყვარეთა მტკიცე ხმა.

დ. იაკობაშვილისა და ა. სააკოვის ფოტო.

ᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ — ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲣᲤᲠᲐᲡ

ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). ალგეთის მეკვინახეობის საბჭოთა მეურნეობა 25 აგვისტოს რაიონში პირველი შეუდგა რთველს. იკრიფება სუფრის ჯიშის ყურძენი „თავრიზი“.

ოთარ დემეტრაშვილისა და ჯიბრაილ ქასუმოვის საწარმოო ბრიგადები ჰექტარზე საშუალოდ 85-90 ცენტნერ ყურძენს იღებენ საგეგმო 60 ცენტნერის ნაცვლად. რთველში პირველობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ფლორა დემირჩიევა, რომელმაც ერთ დღეს 660 კილოგრამი ყურძენი მოკრიფა. კრეფის დღიურ ნორმას ორმაგად გადაამეტეს პარტიისა და შრომის ვეტერანმა ვართანუშ კალავრიანმა, ხაჯა ჯაფაროვმა და სხვებმა. რთველის პირველ დღეს 21 ტონა ყურძენი გაიგზავნა თბილისისა და რუსთავის, აგრეთვე რესპუბლიკის საკურორტო ზონის საჭირო ქსელში.

რთველისათვის ალგეთელები კარგად მოემზადნენ, მოიმარაგეს ტარა-მასალები და სხვა ინვენტარი, შეაკეთეს სასწორები, დაკომპლექტდა მკრეფავთა ოჯახური რაზლები და მათ შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ყურძნის მკრეფავები მეურნეობის ხარჯზე პლანტაციაშივე უზრუნველყოფილი არიან ცხელი საუზმით და გამაგრილებელი წყლებით. მოწინავეთათვის დაწესებულია სხვადასხვა ფასიანი საჩუქარი და ჯილდო.

— ჩვენი მეურნეობის მოსავლიანი ზვრები 263 ჰექტარზეა გადაშლილი, წლის მანძილზე მცენარეს მოვლა არ დავაკლეთ და ვძლიეთ ავადარს. ინტერნაციონალური შრომითი კოლექტივის მთელი ძალისხმევა ახლა იმას ისახავს მიზნად, რომ ყურძენი შემჭიდროებულ ვადებში დავაბინაოთ, ვეგმით გათვალისწინებული 1.200 ტონის ნაცვლად ვაწარმოოთ 1400 ტონა. მოსავლის დიდ ნაწილს მეურნეობის მაცივარში შევინახავთ, რათა იგი ზამთარშიც მივაწოდოთ მშრომელებს, — გვითხრა მეურნეობის დირექტორმა გურამ თევდორაძემ.

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ Ს

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

როცა ამა თუ იმ დიდი კოლექტივის რომელიმე უბნის მცირერიცხოვანი პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებას ესწრები, რაგინდ გამოცდილიც უნდა იყო, ერთგვარი ეჭვიანი ფიქრი მაინც დაგეუფლება: მის მიერ გამართულ ღონისძიებას ექნება კი ის დონე, პრინციპულობა და მასშტაბურობა, რომელიც საჭიროა და აუცილებელი? საანგარიშო-საარჩევნო კამპანიისთვისო. ფიქრობ, ეს პატარა რგოლი თავისი საამქროს ფარგლებს ვერ გასცდება და მოერიდება საერთო საჭირბოროტო პრობლემათა გამომზეურება-განსჯას, თუ არავის არ შეეპუება და უშიშრად შეებრძოლება თანამდებობრივ ბარიერებსაც კი.

სიმართლე უნდა ითქვას, ამ საანგარიშო-საარჩევნო კრების მიმდინარეობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს შთაბეჭდილება ერთთორად გაიზარდა, როცა კრების დამთავრების შემდეგ უფრო ახლოს გავეცანი ქარხნის ავკარგს. და აქ ისეთ სახარბიელო მაჩვენებლებს წავაწყდი, რომ, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული დავრჩი, რადგან კრებაზე საერთო მიღწევებით თვალისახვევა აზრადაც არავის მოსვლია. რა დასამალია, მაინცდამაინც ბევრს არ უყვარს ნაკლოვანებების საამქაროზე გამოტანა, ამიტომ ნამდვილ თუ გამოგონილ წარმატებას კერპივით აღმართავენ და სწორედ მის ფონზე წარმართავენ ხოლმე მსჯელობას მომავლის გეგმებსა და საქმის მდგომარეობაზე.

დიახ, აქ აზრადაც არავის მოსვლია საწარმოს მიღწევათა უცილობელი აფიშირება — კომუნისტების გულისყური გადატანილი იყო მხოლოდ საჭირბოროტო საკითხების წინ წამოწევისა და მათი დაძლევის გზებზე. ხოლო ის მონაცემები, რომლებიც ახლა უნდა მივაწოდოთ მკითხველს, კრების შემდეგ თვითონ მოვიძიე. ლაპარაკია სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ მმართველ-გამომთვლელი მანქანების ქარხანაზე, რომელიც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისთვის უშვებს გამოთვლითს მანქანებს. გარდა ამისა, აქ ატომური ელექტროსადგურებისათვის ამზადებენ მართვის ავტომატიზირებულ სისტემებს, რაც თავისთავად უკვ ბევრ რამეზე მიტყველებს.

ქარხანამ სასაქონლო პროდუქციის წარმოების წლევანდელი შვიდი თვის გეგმა 101,8, ხოლო პროდუქციის რეალიზაციის გეგმა — 110,5 პროცენტით შეასრულა. გაერთიანების პროდუქცია იგზავნება როგორც სსრ კავშირის ბევრ ქალაქში, ისე საზღვარგარეთ. წელს არც ერთი რეკლამაცია არ მოსულა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თვითონ გაერთიანება ამჟამად შეშფოთებულია — უჭირს გეგმების შესრულება.

ქარხნის მეოთხე, ნახევრად სქემების დამამზადებელი საამქრო, რომლის ფოტო-ქიმიური უბნის პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზეც გვექნება ლაპარაკი, მოწინავეა — იგი 110-120 პროცენტით ასრულებს ყოველთვიურ გეგმებს. ამის მიუხედავად პარტჯგუფორგს მარინე მიკირტუმოვას მოხსენებაცა და მოკამათე კომუნისტების სიტყვებიც კრიტიკული იყო. რა იძლეოდა ამის საფუძველს? აქ ყველაფერი ჯაჭვურად აეწყო: მსჯელობა დაიწყო გეგმა-ვალდებულებების შესრულებაზე, მეცნიერულ-ტექნიკური გადაიარაღების აუცილებლობაზე, დაჩქარების სტრატეგიაზე, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაში მათ წვლილზე და, ბოლოს, ლოგიკურად მიადგნენ ერთერთ უმთავრეს მომენტს — პროდუქციის ხარისხს. კომუნისტებს არ დაუმალავთ და აღიარეს, რომ მათთან მოისუსტებს პროდუქციის ხარისხი. აქ კი უმცირესი წუნი, გადახრა და კომპრომისი შეუწყნარებელია, ვინაიდან საქმე გვაქვს მეცნიერების საოცრებებთან — ეგრეთ წოდებულ ელექტრონულ ინფორმაციულ ელექტრონულ-ტექნიკურ ინფორმაციულ ელექტრონულ-ტექნიკურ ინფორმაციულ ელექტრონულ-ტექნიკურ

ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘ
ფაქტები • მოვლენები
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
● ᲗᲘᲤᲚᲘᲡᲘ

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲔᲓᲘᲡ ᲮᲛᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ, რომელიც რეალური საქმეებით აღნიშნავს მშვიდობის საერთაშორისო წელიწადს, კიდევ ერთი საგრძნობი წვლილი შემატა საყოველთაო უშიშროების განმტკიცებას, ხაზგასმით არის აღნიშნული საზღვარგარეთის გამომბაურებებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიერ საბჭოთა ტელევიზიით გაკეთებულ განცხადებაზე. საზღვარგარეთის ქვეყნების თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დიდ შეფასებას აძლევენ სსრ კავშირის გადაწყვეტილებას კვლავ გაახანგრძლივოს ბირთვული აფეთქების ცალმხრივი მორატორიუმი და თავიანთ კომენტარში აღნიშნავენ: ახლა ჯერი ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციაზეა.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხი და მთავრობა მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივი მორატორიუმის 1987 წლის 1 იანვრამდე გაგრძელების შესახებ, განაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ო. ფიშერმა.** იმედი გვაქვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია, ბოლოს და ბოლოს, მიბაძავს სსრ კავშირის მაგალითს. ამას მოელიან ვაშინგტონისაგან ევროპის კონტინენტისა და მთელი მსოფლიოს ხალხები.

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ. რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საზოგადოებრიობა უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას გაახანგრძლივოს ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივი მორატორიუმი, ხაზგასმით არის აღნიშნული **ჟერარესის საადენოს** განცხადებაში. რუმინეთი მხარს უჭერს სსრ კავშირის ამ ნაბიჯს და საჭიროდ ცნობს დაიდოს შეთანხმება ბირთვული იარაღის გამოცდის საბოლოო შეწყვეტის შესახებ. როგორც ცნობილია, რუმინეთმა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ბირთვულ სახელმწიფოებს მოუწოდა შეეერთდნენ სსრ კავშირის მიერ ცალმხრივი წესით გამოცხადებულ მორატორიუმს. მიესალმება რა საბჭოთა კავშირის ახალ ღონისძიებას, რუმინელი ხალხი გამოთქვამს იმედს, რომ ვაშინგტონი მას კონსტრუქციულ პასუხს გასცემს.

ᲯᲐᲙᲐᲠᲢᲐ. მსოფლიოს შეეძლება შვებით ამოისუნთქოს, თუ საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივები ხორცს შეისხამს, განაცხადა ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **მ. კუსუმაატმაჯამ,** განმარტა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის განცხადება. ეს განცხადება გამოხატავს საბჭოთა ხელმძღვანელობის სერიოზულ განზრახვას მიაღწიოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან შეთანხმებას გამაღებული შეიარაღების შეზღუდვის საკითხებზე. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა წინადადებას ყურადღებით აღიქვამენ შეერთებულ შტატებში. საერთოდ შეიარაღებისა და, კერძოდ, ბირთვული იარაღის წარმოება დამღუპველ გავლენას ახდენს როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ბირთვული იარაღის გამოყენება საფრთხეს უქმნის ყველა სულდგმულს ჩვენს პლანეტაზე, აღნიშნა მინისტრმა.

ᲓᲔᲚᲘ. „საბჭოთა კავშირის დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მორატორიუმის გახანგრძლივების შესახებ უაღრესად დიდ შეფასებას იმსახურებს, — წერს **„ინდიან ექსპრესი“,** — სსრ კავშირის ამ ნაბიჯს მნიშვნელობა ეთელი მსოფლიოს ბედისათვის კიდევ უფრო ძლიერდება ისეთ პირობებში, როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ცალმხრივი საბჭოთა მორატორიუმის მოქმედების მანძილზე 18-ჯერ გამოსცადა ბირთვული იარაღი. ისევე როგორც წინათ, როდესაც საბჭოთა კავშირი მორატორიუმის მოქმედების ახანგრძლივებდა, რეიგანის ადმინისტრაციამ კვლავ კატეგორიული უარი თქვა პოზიტიურად ეპასუხა მოსკოვის მოწოდებაზე. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ნატოელი მოკავშირენი ესწრაფვიან არა დაძაბულობის შენელებას, არამედ სამხედრო უპირატესობის მიღწევას. რეიგანი ამაოდ იმედოვნებს, რომ „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის განხორციელებით აიძულებს სსრ კავშირს დათმოს პოზიციები. ვაშინგტონი და მათი მოკავშირენი ასეთი მოქმედებით ბირთვული კატასტროფის უფსკრულისაკენ მიაქანებენ მსოფლიოს“.

ᲙᲐᲑᲣᲚᲘ. „სსრ კავშირმა ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობას მისცა კიდევ ერთი შანსი პირუთვნელად შეფასოს ახლანდელი საერთაშორისო ვითარება, დაძლიოს მცდარი აზრი საბჭოთა კავშირისა და მისი საგარეო პოლიტიკის მიმართ, — ასე ახასიათებს საბჭოთა გადაწყვეტილებას მორატორიუმის გახანგრძლივების შესახებ **„ჰაიკატე ინკილაბე საურის“** მიმომხილველი. — მოსკოვის გადაწყვეტილება, კვლავაც შეიკავოს თავი ბირთვული გამოცდებისაგან, ემყარება სოციალიზმის ერთგულებას შვიდობის საქმისადმი. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ სოციალიზმი და შვიდობა განუყოფელია“.

ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲘ. თეთრი სახლის უარმა პოზიტიურად უპასუხოს საბჭოთა ხელმძღვანელის მოწოდებას ბირთვული გამოცდის შეწყვეტის შესახებ, საბოლოოდ ჩამოაშორა ნიღაბი ამერიკელ კოვბოის, რომელსაც დღემდე კაცობრიობისათვის არაფერი შეუთავაზებია გარდა მუქარისა და აგრესიისა, ნათქვამია **„ალ-ბაასის“** სარედაქციო კომენტარში. გაზეთი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის ახალი სამშვიდობო ინიციატივა ლოგიკურად გამომდინარეობს თვით საბჭოთა საზოგადოების არსიდან, რომელსაც მუდამ ედო საფუძვლად მშვიდობისადმი სწრაფვა და მსოფლიო ცივილიზაციის სვე-ბედისათვის პასუხისმგებლობის შეგნება.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. კონსტრუქციული წინადადებანი, რომლებიც საბჭოთა ხელმძღვანელის განცხადებაშია ჩამოყალიბებული, შეესაბამება კაცობრიობის უდიდესი უმრავლესობის მისწრაფებებს, აღნიშნავს ჟურნალი **„პოლიტიკალ ოფერსი“,** ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის თეორიული ორგანო. ბირთვული გამოცდის შეწყვეტა უაღრესად დიდნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდებოდა გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის გზაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, რეიგანის ადმინისტრაცია უარს ამბობს მიჰბაძოს სსრ კავშირს, უპასუხებს საბჭოთა მორატორიუმს ახალ-ახალი ბირთვული აფეთქებებით, უარყოფს თვით მოლაპარაკების მოწყობის იდეას ასეთ აფეთქებათა სრული აკრძალვის შესახებ ყოველისმომცველი ხელშეკრულების დასადებად. ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობისმოყვარე ძალებმა უნდა გააძლიერონ ბრძოლა, რათა ვაშინგტონი აიძულონ შეწყვიტოს და აკრძალოს ბირთვული გამოცდა.

● ᲗᲘᲤᲚᲘᲡᲘ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲛᲐᲜᲐᲒᲣᲐ. ნიკარაგუის დედაქალაქში მუშაობა დაამთავრა ქვეყნის მმართველი ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის უმაღლესი საკონსულტაციო ორგანოს — სანდინისტური ასამბლეის V სესიამ. სესიის დროს მიიღეს გადაწყვეტილება შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების შედეგად გამოწვეულ ეკონომიკურ სიძნელეებთან ბრძოლის ღონისძიებების შესახებ.

ამერიკის იმპერიალიზმის ბინძური ომის ესკალაციის პირობებში ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის, ნიკარაგუის მთავრობისა და მთელი ხალხის მთავარი ამოცანაა დაიცვან რევოლუციური მონაპოვრები, ხაზგასმულია სესიის შედეგების შესახებ ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის სამდივნოს მიერ გამოქვეყნებულ კომუნიკეში.

● ᲒᲨᲠ

ᲜᲘᲣᲠᲜᲑᲔᲠᲒᲘᲡ ᲤᲝᲠᲣᲛᲘ

ᲑᲝᲜᲜᲘ. ნიურნბერგში გაიხსნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უდიდესი ოპოზიციური პარტიის — გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა. ფორუმის დღის წესრიგშია აქტუალური პოლიტიკური პრობლემების განხილვა, მათ შორის მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშრობის უზრუნველყოფის საკითხთა განხილვა სსრ კავშირის ახალი კონსტრუქციული წინადადებების შესაბამისად, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა ჩამოაყალიბა. 1987 წლის იანვარში ბუნდესტაგის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ყრილობას.

● ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘ

ᲖᲔᲪᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. დასავლეთის პრესა მოწმობს, რომ პაკისტანს მოელო დამნაშავეობის არნახული ტალღა. როგორც რეიტერის საინფორმაციო სააგენტო ყარაჩიდან (სინდის პროვინცია) იუწყება, თავით ფეხამდე შეიარაღებული ბანდიტების დიდი ჯგუფები ტერორით აშინებენ პაკისტანის მთელ რიგ რაიონებს, ძარცვავენ და ხოცავენ მშვიდობიან მოსახლეობას. ხშირად დამნაშავეები ნამდვილ ბრძოლებს უმართავენ პოლიციას.

პაკისტანის ხელისუფალნი იმკიან თავიანთი ბეცი პოლიტიკის ნაყოფს. დამნაშავეობის ახლანდელი პარპაში — ავღანეთის კონტრრევოლუციონერებისათვის ისლამაბადის მხარდაჭერის ერთ-ერთი შედეგია. „შავ ბაზარზე“ იარაღის მთავარი მიმწოდებლები არიან პაკისტანის ტერიტორიაზე შოკალთებული დუშმანები.

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

„ᲡᲞᲝᲢᲘ — 86“ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. გამოცხადდა სიმღერის საერთაშორისო კონკურსის „სპოტი-86“ შედეგები, რომელიც ამ ზღვისპირა საკურორტო ქალაქში უკვე 23-ჯერ გაიმართა.

გრან-პრი და „ქრონის ფირფიტა“ — კონკურსის უმაღლესი ჯილდო — 17 ქვეყნის მომღერალთა შეუპოვარ პაექრობაში მოიპოვა მეირა გიტცმა (აშშ). ჟიურიმ მაღალი შეფასება მისცა ამერიკელი მომღერალი ქალის მიერ შესრულებული სიმღერის „ჩემი გულის გმირის“ მელოდიურობასა და ორიგინალურ არანჟირებას. წინათ მასვე ხვდა ერთ-ერთი მთავარი პრემია პოლონური სიმღერის საუკეთესო შესრულებისათვის.

მეორე პრემია მიეკუთვნა ფინელთა დუეტს „მონროს“, მესამე — ნიჭიერ უნგრელ მომღერალს მიკლოშ ვარგას. პრემია „ქარვის ბულბული“ პოლონური სიმღერის საუკეთესო შესრულებისათვის დაიმსახურა შვედმა მომღერალმა ქალმა ვიკი ბენკერტმა.

ᲗᲔᲛᲘᲗᲮᲕᲔᲚᲐ

„ᲝᲥᲠᲝᲡ ᲪᲘᲪᲮ-ᲪᲮᲔᲚᲘᲡᲒᲘᲡ“ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲙᲚᲜᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. სულ ცოტა ცხრა კაცი გახდა ბოლო თვეში „ოქროს ციცხელების“ მსხვერპლი, რომელმაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნატალის პროვინციაში იფეთქა.

როგორც იოჰანესბურგის პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, მათი დაღუპვის მიზეზი გახდა ორმოებისა და გვირაბების ჩანგრევა, რომლებიც გათხარეს მდინარე ინსუზის ეელზე ოქროს ძიებისას. თანამუდაო „ოქროს მაძიებელი“ მიაწყდა იმ ადგილებს მას შემდეგ, რაც ხმა გავარდა, აღნიშნულ რაიონში მოულოდნელად დიდძალი ოქრო აღმოჩნდაო. თუმცა, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ინსუზის მახლობლად ნაპოვნი ყვითელი მინერალის ნაჭრები ოქრო კი არა, არამედ რკინის ალმადანია, რომელიც ოდნავ ჩამოჰგავს ძვირფას ლითონს.

ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲠᲢᲘ

ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘ ᲛᲐᲕᲗᲣᲚᲮᲚᲐᲠᲗᲔᲑᲨᲘ

ᲐᲗᲘᲐᲠᲚᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ მანძილზე პენტაგონი ოკინავას თავის მძლავრ ფორპოსტად აქცევდა შორეულ აღმოსავლეთში და დღეს აქ განლაგებულია ამერიკის არმიის 60-ზე მეტი მსხვილი ბაზა, აეროდრომი და პოლიგონი, რომლებსაც კუნძულის ტერიტორიის მეხუთედი უკავიათ.

ამერიკის სამხედრო ყოფნა მძიმე ტვირთად აწვება კუნძულის მცხოვრებთ. უმუშევრობის

პროცენტი ოკინავაზე ხუთჯერ მეტია, ვიდრე იაპონიის სხვა პრეფექტურებში. კუნძულის ტერიტორიაზე მოძრაობა გაძნელებულია ამერიკული საბრძოლო ტექნიკის თავმოყრის გამო, ცაში მუდამ გრუხუნებენ მძიმე ბომბდამშენები, ბოლო არ უჩანს წვრთნებსა და მანევრებს. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ობიექტები არათუ ხელს უშლიან კუნძულის ეკონომიკის განვითარებას და მუდმივ შიშში ჰყავთ ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ მსხვილი კონფლიქტის შემთხვევაში სრული მოსპობითაც ემუქრებიან.

ოკინავის ხვედრი თვალნათლივ მოწმობს, თუ რაოდენ სახიფათო როლს აკისრებს ამერიკის შეერთებული შტატები „უშიშროების ხელშეკრულების“ ფარგლებში იაპონიას, რომლის ტერიტორიაც სურს გადააქციოს „უძირავი ავიამზიდის“ გემმანად, ხოლო მცხოვრებნი — პენტაგონის ბირთვულ მძევლებად.

სურათებზე: ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზა ნაჰაში — ოკინავის ადმინისტრაციულ ცენტრში, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაგამანადგურებლები კუნძულის თავზე.

ᲤᲐᲥᲢᲘ-ᲓᲐ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲐᲨᲨ-ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ:

ᲒᲐᲭᲘᲐᲜᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ შეერთებული შტატების ანკარის საელჩოში გაიმართა პრესკონფერენცია. მასზე გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრი სტივენ სოლარზი, რომელმაც თურქეთსსრ კავშირის საზღვრის ერთ-ერთ რაიონში იმოგზაურა. თავისთავად ფაქტი, ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელოა.

ვაშინგტონელი ემისრები არცთუ იშვიათად აწყობენ ვოიაჟს თურქეთში განლაგებული ამერიკა-ნატოს სამხედრო ბაზების ინსპექტირების მიზნით და ამავე დროს ცდილობენ კიდევ ერთხელ მიმართონ მითს „საბჭოთა საფრთხის“ თაობაზე. გამონაკლისი არც ს. სოლარზის ახლანდელი მოგზაურობა ყოფილა. კვლავ წამოაყენა რა გაცვეთილი თეზისი, იგი შეეცადა დაერწმუნებინა თურქეთი შეერთებული შტატების მხრივ აქტიურ მხარდაჭერაში და ყოველნაირად აქებდა მას, როგორც ერთგულ მოკავშირეს. „თურქეთი, — თქვა ს. სოლარზმა პრესკონფერენციაზე, — არსებით როლს ასრულებს შეერთებული შტატებისა და ნატოს უშიშროების უზრუნველყოფაში“. ამიტომ, საჭიროა განხორციელდეს მისი შეიარაღებული ძალების მოდერნიზება და რაც შეიძლება მალე მორიგდნენ თავდაცვისა და ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობის ორმხრივი შეთანხმების განახლებისა და თანაბარ საფუძველზე ორმხრივ ურთიერთსარგებლიანობაზე“.

ამრიგად, ფსიქოლოგიური სამყაროს გარდაქმნაში აზრისა და სიტყვის სიახლეს, სიტყვის გონივრულ გამოყენებას წამყვანი მნიშვნელობა აქვს. სიტყვა კულტურულ ფასეულობათა დიდი მონაპოვარია და იგი მთელი თავისი აზრითა და დანიშნულებით უნდა ჩაეაყენოთ დაჩქარებული განვითარების სამსახურში.

Დ. ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ,
პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენებაში სკკპ XXVII ყრილობისადმი ნათქვამია: „შრომელთა რევოლუციური შემოქმედებით შობილმა ხალხთა დეპუტატთა საბჭოებმა გაიარეს დროის გამოცდა, დაამტკიცეს თავიანთი ცხოველუნარიანობა, უდიდესი შესაძლებლობანი ხალხის სრულფასოვანობის განხორციელებაში, მასების გაერთიანებასა და დარაზმვაში“.

ეს დებულება საბჭოების მთელი საქმიანობის დიდი შეფასებაც და სამოქმედო პროგრამაც გახლავთ. საბჭოების საქმიანობის ეს პრინციპები უდევს საფუძვლად ჩვენს მუშაობას. ჟიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ცდილობს სრულყოს თავისი საქმიანობის სტილი და მეთოდები, ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობა, შრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის მუშაობა.

საქალაქო საბჭოს დეპუტატები, მუდმივი კომისიები სათავეში უდგანან სოციალისტურ შეჯიბრებას, ზრდიან მის საჯაროობას და შესაძარებას, წარმატებით ნერგავენ მატერიალური და მორალური სტიმულირების პროგრესულ ფორმებს, აძლიერებენ შრომითი კოლექტივების როლსა და პასუხისმგებლობას სახელმწიფო გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში. უკანასკნელ ხანს მიღწეულია სტაბილური წარმატებები ქალაქის ეკონომიკის განმტკიცებაში. ახლა ქალაქის მეურნეობა უჩამორჩენილებად მუშაობს. ორმა უდიდესმა საწარმომ — საწარმოო გაერთიანება „ჟიათურმანგანუმმა“ და ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებამ, რომელთაც დეპუტატები მ. აფაქიძე და ჯ. ხარაიშვილი უძღვებიან, შარშან გაიმარჯვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ხოლო ქალაქში — რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში და კვლავაც წარმატებით განაგრძობენ შრომით ვახტს. წარმატებებში ღირსეული წვლილი შეიტანეს აგრეთვე ქალაქის ზონის სოფლის მეურნეობის შრომაშლებმაც, რომლებმაც გეგმის გადაჭარბებით მიჰყიდეს სახელმწიფოს ჩაი, ხორცი, რძე და სხვა პროდუქტები. წელსაც ისინი ძლევენ უამინდობით გამოწვეულ სიძნელეებს და ზრდიან წარმოებას.

სკკპ XXVII ყრილობისათვის შრომებს დღეებში ჩვენს ქალაქში იშვა რამდენიმე საინტერესო თაოსნობა. მათ შორის გაერთიანება „ჟიათურმანგანუმის“ ინიციატივა სახელშეკრულებო ვალდებულებათა უთუო რეალიზაციის თაობაზე, რომლის შესახებ ფართოდ ვიმსჯელეთ საქალაქო საბჭოს აღმასკომის სესიაზე. ეს ინიციატივა მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკაში გავრცელდა.

ჩვენი ქალაქის შრომითმა კოლექტივებმა გამოიჩინეს თაოსნობა მთლიანად გამოიყენონ არსებული საწარმოო სიმძლავრეები. მაგალითად, ეთერზეთების ქარხნის კოლექტივმა გულდასმით აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობანი და დააყენა წარმოების მოცულობის გადიდების საკითხი. სათანადო რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანებასთან ერთად ეს პრობლემა დადებითად გადაწყდა. ახლა ქარხანა თითქმის ორჯერ მეტ ძვირფას ეთერულ ზეთებს უშვებს ვიდრე სამოდე წლის წინათ და ჩვენს ქალაქში ერთ-ერთ დიდმომგებიან საწარმოდ იქცა.

შრომითს კოლექტივებში მოქმედი დეპუტატთა ჯგუფები და საგუშაგოები იღვწიან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კურსის განუხრელი განხორციელებისთვის, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ შრომის ორგანიზაციასა და სტიმულირებას, საჯარო ბრიგადული ფორმების განვითარებას. ამჟამად საშრეწველო საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებში შექმნილ 84 იჯარულ ბრიგადაში გაერთიანებულია ამ სფეროში დასაქმებული მუშების 72 პროცენტი, ხოლო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახლა 70-მდე ასეთი ბრიგადაა, შარშან კი მხოლოდ 6 იყო. აღნიშნულ ბრიგადებში ჩვეულებრივთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, განმტკიცდა შრომისა და საწარმოო დისციპლინა, გაძლიერდა თითოეული მუშისა და კოლმეურნის პასუხისმგებლობა და იმატა შრომის საზღაურმა. ბოლო ანგარიშით დიდ უკეთგებს ვადრეეთ. დეპუტატთა ჯგუფებმა და საგუშაგოებმა გადაწყვიტეს მომავალ წლამდე ყველა ბრიგადა გადაიყვანონ ამ პროგრესულ ფორმებზე.

ბევრ შრომითს კოლექტივში ახლა მწვავედ და პრინციპულად წყდება წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცების საკითხები. მათ თავიანთ სამსჯავროზე გამოჰყავთ ყველა დისციპლინის დამრღვევი. იყენებენ კანონთა გთვალისწინებულ ღონისძიებებს, როგორიცაა სამუშაოდან გთანავსუფლება, დროებით მცირეხელფასიან სამუშაოზე გადაყვანა, ფულადი ჯარიმა ან ადგილობრივი ორგანოებისადმი ინფორმაციის მიწოდებისა ადამიანთა ქცევის, ოჯახური ურთიერთობების, ალკოჰოლით ვაჭრობა და ა. შ.

სკკპ XXVII ყრილობაზე მ. ს. გორბაჩოვმა, შეეხო რა საბჭოების მუშაობას, განაცხადა: „დღეს მათ შეუძლიათ და კიდეც უნდა გახდნენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის მასების დარაზმვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი რგოლი. როცა მანდატს იღებენ ამობრჩევლებისაგან, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები პასუხისმგებლობას კისრულობენ თავიანთ ტერიტორიაზე ცხოვრების ყველა სფეროსათვის“. საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომები ამჟამად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ამობრჩეველთა განაწესების შესრულებას. მარტო საქალაქო საბჭოს 65 განაწესიდან უკვე შესრულებულია 19, დანარჩენი კი შესრულების სტადიაშია. ამ განაწესების საფუძველზე ჩაბარდა ბუნებრივ გაზზე მომუშავე ქალაქის ცენტრალური საქვაბე, საბავშვო ბაგა-ბაღი, ავტოსადგური, ქორწინების სახლი, 200-საწოლიანი ბავშვთა საავადმყოფო, რეკონსტრუირებულია მანდაეთისა და კაცხის საშაულო სკოლების შენობები, მომდინარეობს ქალაქის ქუჩებისა და მოედნების რეკონსტრუქციაკეთილმოწყობა.

ჟიათურის ადგილობრივი საბჭოები, მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები და საგუშაგოები, აქტივისტები საარსებო საკითხების მოგვარებისათვის შეუნელებლივ იღვწიან. ამის შედეგიცაა, რომ ბინათმშენებლებმა ერთ წელიწადში საექსპლოატაციოდ გადასცეს 30 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, თითქმის იმდენი, რამდენსაც წინათ ერთი ხუთწლედი სჭირდებოდა. სისტემატურად უმჯობესდება მაღაროელთა ქალაქისა და სოფლების კულტურული, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება. საამისოდ მწყობრში ჩადგა რამდენიმე ახალი ობიექტი, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა არსებულთ. საწარმოო გაერთიანება „ჟიათურმანგანუმის“ დეპუტატთა ჯგუფის თაოსნობით ახლა ყველა სოფელში, სადაც მაღაროელები ცხოვრობენ, დადის ავტობუსები, რომლებსაც მუშები გადაყავთ საწარმოებში. მნიშვნელოვნად გამოაცოცხლეს მუშაობა ქალაქისა და მისი სოფლების კულტურის კერებმა, გაუმჯობესდა მასობრივ-სპორტული მუშაობა, ამოქმედდა ახალგაზრდული ცენტრი „ია“, სადაც ქალიშვილები და ჭაბუკები ბევრ საინტერესო კულტურულ და მასობრივ ღონისძიებას აწყობენ. ამანაც შეუწყო ხელი იმ მდგომარეობას, რომ ჩვენი ახალგაზრდები ახლა თითქმის აღარ ეტანებიან ალკოჰოლიან სასმელებს.

ცხადია, ყოველივე ეს კარგია, მაგრამ შემდგომში გაცილებით მეტი გვაქვს გასაკეთებელი, საზრუნავი და საფიქრალი. ჟიათურის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმით გათვალისწინებულია აშენდეს ახალგაზრდული კომპლექსი. მას ექნება საერთო საცხოვრებელი, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი, კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტები. აქ ადამიანები შრომის შემდეგ ნაყოფიერად დაისვენებენ.

საბჭოები ახორციელებენ ღონისძიებებს აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ. გარდა იმისა, რომ დეპუტატების ინიციატივით მკვეთრად შევამცირეთ ალკოჰოლით მოვაჭრე. მაღაზიებისა და საზოგადოებრივი ობიექტების რიცხვი, გავზარდეთ სხვადასხვა წყლებისა და საკონდიტრო ნაწარმის წარმოება, ამასთანავე ბახუსის მოყვარულთ მოსვენებას არ ვაძლევთ. საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების სამედიცინო გამოსაფხიზლებელში მოზვედრილთა შესახებ ინფორმაცია იგზავნება იმ კოლექტივში, სადაც იგი მუშაობს. ბევრი შრომითი კოლექტივი ასეთ კრებაზე იწვევს იმათი ოჯახის წევრებს, ვინც დაარღვია სოციალისტური თანაცხოვრების წესი და გაუთთვრა, ან მათ ოჯახებში უგზაფხის წერილებს, უხსნიან პრემიებს, არ ხდება სხვა წახალისება და ა. შ. ამ ღონისძიებათა სასიკეთო შედეგები უკვე თვალნათლივ ჩანს. საგრძნობლად შემცირდა ალკოჰოლის მოტრფიალეთა რიცხვი, ხოლო ახლო მომავალში, ვფიქრობთ, ასეთნი თითქმის აღარ გვეყოლება. ამჟამად გადამწყვეტი ბრძოლა წარმოებს აგრეთვე იმათ წინააღმდეგ, ვინც შრომას თავს არიდებს, სხვადასხვა მაქინაციებით ცხოვრობს სხვის ხარჯზე, სხვის კისერზე.

ახლა ჩვენი მიზანი და ამოცანები ნათელია, ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო გავაჯანსაღოთ მუშაობა ამ მიმართულებით, საბჭოების ძალისხმევა ავიყვანოთ სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა დონეზე.

Ჯ. ᲒᲣᲠᲣᲚᲘ,
ჟიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗᲘ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში სკკპ XXVII ყრილობისადმი ნათქვამია: „შრომელთა რევოლუციური შემოქმედებით შობილმა საბჭოებმა გაიარეს დროის გამოცდა, დაამტკიცეს თავიანთი ცხოველუნარიანობა, უდიდესი შესაძლებლობანი ხალხის სრულფასოვნობის განხორციელებაში, მასების გაერთიანებასა და დარაზმვაში“.

ეს დებულება საბჭოების მთელი საქმიანობის დიდი შეფასებაც და სამოქმედო პროგრამაც გახლავთ. საბჭოების საქმიანობის ეს პრინციპები უდევს საფუძვლად ჩვენს მუშაობას. ჟიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ცდილობს სრულყოს თავისი საქმიანობის სტილი და მეთოდები, ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობა, შრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის მუშაობა.

საქალაქო საბჭოს დეპუტატები, მუდმივი კომისიები სათავეში უდგანან სოციალისტურ შეჯიბრებას, ზრდიან მის საჯაროობას და შესაძარებას, წარმატებით ნერგავენ მატერიალური და მორალური სტიმულირების პროგრესულ ფორმებს, აძლიერებენ შრომითი კოლექტივების როლსა და პასუხისმგებლობას სახელმწიფო გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში. უკანასკნელ ხანს მიღწეულია სტაბილური წარმატებები ქალაქის ეკონომიკის განმტკიცებაში. ახლა ქალაქის მეურნეობა უჩამორჩენილებად მუშაობს. ორმა უდიდესმა საწარმომ — საწარმოო გაერთიანება „ჟიათურმანგანუმმა“ და ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებამ, რომელთაც დეპუტატები მ. აფაქიძე და ჯ. ხარაიშვილი უძღვებიან, შარშან გაიმარჯვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ხოლო ქალაქში — რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში და კვლავაც წარმატებით განაგრძობენ შრომით ვახტს. წარმატებებში ღირსეული წვლილი შეიტანეს აგრეთვე ქალაქ

ᲛᲪᲘᲠᲔ ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ მეცნიერები ახლებურად მიუდგნენ პატარა მდინარეებზე, სარწყავი სისტემების წყალსაცავების კაშხალებთან მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის იდეას.

საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ მცირე ჰიდროელექტროსადგურების აგება შეიძლება არხებზეც — იმ მოხაკვეთებზე, სადაც წყალი გადიდებული სიჩქარით მიედინება. გამოანგარიშებულია, რომ მოქმედი მშენებარე სარწყავ სისტემებზე აშენებულ ასეთ ჰიდროელექტროსადგურებს შეუძლიათ გამომუშაონ იმ ელექტროენერგიის მესამედი, რომელსაც ახლა საქართველოს ირიგატორები და მელიორატორები იწყვის ან დაჭაობებული მიწების დაშრობის საჭიროებებს ახმარენ.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. კერესელიძემ, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატებმა თ. შველიძემ და გ. შულცმა, უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა რ. ავალიშვილმა შეადგინეს ელექტრობის გამომუშავებისათვის რესპუბლიკის მთელი რიგი დიდი საირიგაციო სისტემების პოტენციური ენერგიის გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. გაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ მცირე ჰიდროელექტროსადგურების მთელი სიმძლავრე, რომლებიც აგებულია, მაგალითად, ზედა სამგორის, ალაზნის, მთელ რიგ სხვა სარწყავ სისტემებზე, სიმძლავრით უტოლდება აღმოსავლეთ საქართველოს უდიდეს ჰიდროელექტროსადგურს — ხრამჰესს.

... რუკაზე მკაფიოდ არის გამოყოფილი სარწყავი სისტემების არხების არტერიები. წრეებით აღნიშნულია უბნები, სადაც ნავარაუდევია მცირე ჰიდროელექტროსადგურების აშენება. ასეთი წერტილები დაახლოებით ათია.

— ეს არის პირველი რიგის ობიექტები, განმარტავს ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი გ. ჩოგოვაძე. მათ განეკუთვნება, მაგალითად, მდინარე იორზე მდებარე კამხალისპირა ელექტროსადგური. შეხედეთ ამ სქემას. როგორც ხედავთ, ჰიდროელექტროსადგურის კონსტრუქცია უაღრესად მარტივია. იგი შედგება ასაწყობი ელემენტებისაგან, წყალი ჰიდროელექტროსადგურის ტურბინებისაკენ მიედინება სარწყავი არხის წყალმიმღებით, ამუშავებს სადგურის გენერატორებს და უდანაკარგოდ და გაუუმუჯობესებლად ხვდება სარწყავ არხში. ცხადია, რომ ასეთი მცირე ჰიდროელექტროსადგურების აგება საირიგაციო სისტემებზე იდ ტექნიკურ სირთულეს არ წარმოადგენს.

— საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ნამუშევრით ახალს არაფერს ვამბობთ, — თქვა დასასრულ მეცნიერმა. — ჩვენი „სიახლე", ერთგვარი გამონაკლისით, კარგად დავიწყებული სიძველეა.

საქართველოში 1955 წლამდე პატარა მდინარეებზე მუშაობდა 267 ეგრეთ წოდებული „ჯიბის" ჰიდროელექტროსადგური, მათ შორის 21 — სარწყავ სისტემებზე. შემდეგ, მუშაობაში დიდი ელექტროსადგურების ჩართვის კვალობაზე, ისინი თანდათან კარგავდნენ მნიშვნელობას. ასეთი სადგურები გამოიმუშავებდნენ ელექტროენერგიას მხოლოდ სეზონურად, მომსახურება კი ძვირი ჯდებოდა. თანაც სულ უფრო კლებულობდა ძალური აგრეგატების სათადარიგო ნაწილები: ქვეყნის მრეწველობა აღარ უშვებდა მცირე ტურბინებსა და ჰიდროგენერატორებს. ეს ერთი იმ მიზეზთაგანი იმისა, რომ საქმთავარენერგოს სისტემაში ახლა ბალანსზეა მხოლოდ და მხოლოდ 34 მცირე ჰიდროელექტროსადგური, რომელთა უმეტესი წაწილი არ მუშაობს.

მინიჰიდროტურბინების გამოშვება დაიწყო კუიბიშევის ოლქის სიზრანის მილსაშენებელმა ქარხანამ. ლენინგრადის ელექტრომანქანათმშენებლობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა შეიმუშავეს მცირე ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროგენერატორები. ინტერესს მოკლებული არ იქნება ამასთან დაკავშირებით აღვნიშნოთ, რომ ოდესაც საქართველოშიც, თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელ ქარხანაში ამზადებდნენ მოწყობილობას „ჯიბის" ელექტროსადგურებისათვის, იქნებ, ღირდეს განვაახლოთ მათი წარმოება რესპუბლიკაში უახლოეს მეცნიერულ მიღწევათა გათვალისწინებით?

კ. ᲪᲮᲝᲛᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲓᲐ ᲙᲚᲐᲕ ᲡᲔᲢᲧᲕᲐ

ᲛᲖᲘᲐᲜ, თაკარა დღეს ყველასათვის მოულოდნელად ცა ყომრალი ღრუბლებით დაიფარა. ჰაერში სეტყვასაწინააღმდეგო სამსახურის რაკეტები აიჭრა, მაგრამ სეტყვა თავიდან მაინც ვერ აიცილეს. სტიქიამ მნიშვნელოვნად დააზიანა საგარეჯოს რაიონის სოფლების მანავის, ჩაილურის, კაკაბეთის, ყანდაურის, ბოგდანოვკისა და შიბლიანის მეურნეობები.

„განსაკუთრებით ძლიერ დაზარალდა მანავის მევენახეობის საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის მთელი რიგი სრულმოსავლიანი ნაკვეთები, სადაც 110 ჰექტარზე განადგურდა მოსავლის 70-80 პროცენტი. ამ მეურნეობაში 440 ჰექტარი ვენახები დაიღუპა. დაზიანდა საკარმიდამო ვენახებიც.

სულ საგარეჯოს რაიონში სეტყვამ დააზიანა 837 ჰექტარი ზვარი. ზარალი მოუვიდა აგრეთვე ბაღჩეულს, ბოსტნეულსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს.

• • •

ამინდი არ სწყალობს ყვარლის რაიონის მევენახეებსაც, სადაც სეტყვამ დააზიანა ახალსოფლის საბჭოთა მეურნეობის 420 ჰექტარი ვენახები.

სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლის ოპერატიული შტაბები ყოველ ღონეს ხმარობენ მოსავლის გადასარჩენად. ამჟამად დაზიანებულ ნაკვეთებში დაიწყო ყურძნის კრეფა, რომლის შაქრიანობა სულ ცოტა 15 პროცენტია. სოფლის მშრომელები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ დანაკარგები მინიმუმამდე შეამცირონ. (საქინფორმი).

ᲑᲣᲜᲔᲑᲐ—ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ

„ᲩᲕᲔᲜ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲕᲐᲠᲗ—ᲘᲒᲘ ᲩᲕᲔᲜᲨᲘᲐ, ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲜᲘᲪ ᲛᲘᲡᲜᲘ ᲕᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲛᲙᲕᲓᲐᲠᲜᲘᲪ"

18.

ᲕᲐᲫᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐ

ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲕᲘᲠᲩᲘᲕᲗ: ᲛᲖᲘᲡ ᲜᲐᲤᲔᲠᲔᲑ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲡ ᲜᲣ ᲛᲝᲕᲒᲚᲔᲯᲗ, ᲓᲐ ᲑᲐᲚᲐᲮᲡ ᲒᲐᲡᲐᲢᲠᲣᲡᲐᲓ ᲜᲣ ᲒᲐᲕᲘᲛᲔᲢᲔᲑᲗ!

ᲐᲮᲚᲔᲑᲣᲠᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ, ᲐᲮᲚᲔᲑᲣᲠᲘ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲐ

ᲔᲡ იყო რამდენიმე წლის წინათ. მე და ჩემი მეუღლე სტუმრად გახლდით ბულგარეთში, მასპინძლებმა თავიანთი ქვეყნის მრავალი ღირსშესანიშნავი ადგილი დაგვათვალიერებინეს. ვიყავით აგრეთვე სოფიის ახლოს — ვიტოშის მთაზე. სეირნობის დროს ერთ-ერთი ჩვენგანი უნებურად დაიხარა, რათა მოეწყვიტა ორიოდე თავისი სილამაზით თვალში მოხვედრილი მინდვრის ყვავილი. ამის დანახვაზე, საუბრის შეუწყვეტლად, თითქოს თავისთვის, მასპინძელმა ჩაილაპარაკა: „ჩვენში აქ ყვავილის მოწყვეტა არ არის მიღებულიო". მე მაშინ პირველად დავფიქრდი ამ წესის დიდ სიბრძნეზე, — ამ დიდი ქალაქის შემოგარენში რამდენი მოსეირნე დამსვენებელია, ყველამ რომ თავის ნებაზე უმოწყალოდ ანადგუროს მცენარეულობა, — ახლო მომავალში ბუნების ეს მშვენიერება რას დაემსგავსებოდა-მეთქი.

ამ შემთხვევიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც საზაფხულო საკურორტო სეზონი ბაკურიანში ჯერ არც იყო რიგიანად დაწყებული, ივნისის ერთ მშვენიერ დილას მოვხვდი კოტტა გორის წვერზე. იმ მომენტში იქ საბაგიროთი და ავტობუსებით ჩვენი ქვეყნის მრავალი კუთხიდან ჩამოსული ტურისტები ამოვიდნენ; კოტტას კალთები ცისფრად მობიბინე ერთი სახის დიდრონი ალპური ყვავილით იყო დაფარული. არ გასულა ცოტა ხანი და კოტტაზე ამოსულმა ადამიანთა მასამ რამდენიმე ასეულ კვადრატულ მეტრზე ერთბაშად გაანადგურა ბუნების ეს მშვენება. ტურისტები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო დიდ თაიგულს შეკრავდა. ამ სურათის დანახვამ, მახსოვს, პირდაპირ თავზარი დამცა.

და ბოლოს, სულ ახლახან, ივნისის ერთ კვირა დღეს თბილისი-მანგლისის გზით მივდიოდი ავტომანქანით. პანტიანსა და ორბეთს შორის მრავალი მსუბუქი მანქანა იდგა გზის პირას, ხოლო ამ მანქანებით ჩამოსული დიდი თუ პატარა გზისპირა მინდვრებს მოფენოდა და ნაირნაირი ყვავილების კრეფით იყო გართული.

ბუნებისადმი ასეთ უტილიტარულ-მომხმარებლურ დამოკიდებულებას თავისი ისტორიული ფესვები აქვს. იყო დრო, არცთუ ისე შორეული, როდესაც მისადმი ამგვარი უდარდელი დამოკიდებულების მასშტაბი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მას არც შეეძლო სერიოზული ზიანის მიყენება. არსებითად შეესაბამებოდა ამ ვითარებას ბუნებისადმი ადამიანის დამოკიდებულების მაშინდელი ფსიქოლოგიაც, რომლის შინაარსიც გამოიხატებოდა სიტყვებით: „ბატონობა ბუნებაზე", „სარგებლიანობა" და ა. შ. ჩვენი საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარმა გრანდიოზულმა მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ არსებითად შეცვალა ადამიანის ბუნებასთან ურთიერთობის სახეცა და შინაარსიც. დღეს ბუნებასთან ადამიანის ურთიერთობა განისაზღვრება **გლობალური ეკოლოგიური წონასწორობის დაცვის** აუცილებლობით. ეს კი მოითხოვს ბუნებისადმი ადამიანის დამოკიდებულების **ფსიქოლოგიის** არსებითს შეცვლასაც. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, თანამედროვე ადამიანის ეკოლოგიური კულტურის ფორმირება, რომლის საფუძველსაც ბუნებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება შეადგენს, დღევანდელობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. სამწუხაროდ, ბუნებისადმი დამოკიდებულების ჩვენს ფსიქოლოგიაში ასეთი ცვლილება ჯერჯერობით არ მომხდარა. საკითხის სპეციალურმა შესწავლამ ცხადყო, რომ ჩვენი მოსწავლეების 95 პროცენტი კითხვაზე „რატომ გიყვარს ბუნებაში ყოფნა?" „რისი გაკეთება გსურს ყველაზე უფრო, როდესაც ბუნებაში ხარ?", გიპასუხებენ: „კენკრის, სოკოს, ყვავილების კრეფა, თევზაობა". გამოკითხულთა მხოლოდ 5 პროცენტი ლაპარაკობს ბუნებასთან ურთიერთობის, მისი სილამაზით ტკბობის მოთხოვნილებაზე, მასზე დაკვირვებასა და მის დაცვაზე.

ამა წლის ივნისში ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა ცნობა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ღონისძიების შესახებ, რომლის მიზანია დედაქალაქის შემოგარენის ფლორის განადგურებისაგან დაცვა. აღმასკომის დადგენილება მხოლოდ იმ პირებს ეხება, რომლებიც ადრე გაზაფხულიდან დაწყებული ველური ყვავილებით ვაჭრობენ ქალაქის ქუჩებსა და ბაზრებში. ეს ღონისძიება აშკარად არ არის საკმარისი. იგი უნდა გავრცელდეს რესპუბლიკის ყველა დიდ ქალაქზე, საკურორტო ზონებზე, ისტორიული ძეგლების მიდამოებზე და ა. შ., ხოლო **აკრძალვა და ჯარიმა** უნდა შეეხოს **უკლებლივ ყველას, ე. ი.** არა მარტო იმ პირებს, რომლებიც ველურ ყვავილებს ვაჭრობის საგნად ხდიან, რადგან სადღეისოდ შექმნილი ვითარება მართლაც საგანგაშოა რესპუბლიკის მასშტაბით. ჩვენ დღეს უკვე აღარა გვაქვს დრო, რომ ბუნებისადმი ადამიანის დრომოჭმული უტილიტარული დამოკიდებულების ახალი პასუხისმგებლური დამოკიდებულებით შეცვლის პროცესი წლობით გავჭიმოთ. ამიტომ ის სიტუაცია, რომლის გამოც დღეს ასეთ განგაშს ვტეხთ, თითოეულ ჩვენგანს გვავალებს ყოველდღიურ ცხოვრებაში გადაუდებლად აქტიურად ვიმოქმედოთ ყველგან, სადაც და როგორც შეგვიძლია, ბუნების დასაცავად.

Გ. ᲙᲔᲩᲮᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
პროფესორი, საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი.

ᲚᲘᲐ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ, ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲝᲛᲑᲐᲒᲔᲑᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲡ

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ მეგობრებო, გვახარებს თქვენი ყოველი გამარჯვება სახალხო მეურნეობისა თუ კულტურის სხვადასხვა დარგში; გვახარებს თქვენი კეთილი საქმეები, თაოსნობა და წარმატებანი გარემოს დაცვა-გაჯანსაღების, ბუნებრივი და მეორეული რესურსების კომპლექსური გამოყენების საქმეში, რისთვისაც ბუნების დამცველთა შორის გაშლილ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის დროშები გაქვთ მოპოვებული...

ამ ვითარებაში გულსატკენია და ბუნების ქომაგთა დამსახურებასაც ჩრდილს აყენებს ძველი ტრადიციული ჭიაკოკონობის გაყალბება, ამ ბოლო ხანს ძლიერ რომ მოიკიდა ფეხი თქვენს ზონაში, აგრეთვე ახლო-მახლო რაიონებსა და ქალაქებში. ერთადერთი, რითაც შეუძლიათ ამ ცრუწესის მომდევრებმა თავი იმართლონ, ისღა გახლავთ, რომ აუჩემებიათ: ჩვენებური, უძველესი წეს-ჩვეულებაა, და რა ვქნათ, ბავშვები ხომ უნდა გავაბარათოთ!..

რაც მართალია, მართალია, ჭიაკოკონობის, ანუ ეგრეთწოდებული კუდიანების ღამეს (ყოველწლიურად აგვისტოს 27-ს რომ უწევს), ისტორიულად კოლხეთსა და იბერიაში მართლაც ანთებდნენ ხოლმე კოცონს. მაგრამ ანთებდნენ სიმინდის ხმელი ღეროების ან ფიჩხისაგან — აქაოდა, ეშმაკები დაიწვებიანო! ჩვენს მწერლებსა და ეთნოგრაფებს ეს რიტუალი ჩინებულად აქვთ აღწერილი, უფრო მეტიც, ასახულია მხატვრობასა და კინოში...

რა ხდება ახლა?

აი ერთი, შარშანდელი წლის მაგალითი იმ უთუოდ მიუღებელი და დასაგმობი პრაქტიკიდან, რომელიც, ალბათ, უკვე ორ ათეულ წელს ითვლის. შარშან, 27 აგვისტოს მარტო ქალაქ ზუგდიდში, ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონების მრავალ სოფელში ზედ ეზოების წინ ენთო კოცონები, ოღონდ არა ფიჩხისა თუ ჩალის ღეროებისა — ავტოსაბურავების კოცონი! გზაჯვარედინებსა და მდინარის ნაპირებზე კი საბურავების მთელი გორები იწვოდა და ბავშვებიც საათობით ერთობოდნენ მხრჩოლავ კოცონებთან...

სამეცნიერო ლიტერატურედან ცნობილია და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წამყვანი სპეციალისტებიც გვარწმუნებენ, რომ საბურავის წვისას გამოიყოფა დიდი რაოდენობით ქლოროპრენი და სხვა კანცეროგენული — კიბოს გამომწვევი ნივთიერებანი, აგრეთვე გოგირდოვანი გაზი და მური, რომლებიც ძლიერ აბუმკოიანებს გარემოს, ანადგურებს ცოცხალ ბუნებას და განსაკუთრებით მავნეა ბავშვის ჯანმრთელობისათვის. ხოლო ზაფხულის პაპანაქებას, მაერის დაბუნძულობასა და შარშანდელი ჭიაკოკონობის მახშტაბებს თუ გავითვალისწინებთ, რასაც ათასობით საბურავი მოხმარდა, ბუნების ქომაგთა უმოქმედობა, მართლაც რომ, მიუტევებელია!

მაგ მოდით, საზოგადოების, ბუნებისა და ჯანმრთელობის დაცვის მესვეურთა ერთიანი მეცადინეობით დავძლიოთ საბურავების ცეცხლწამკიდებელ „ცეცხლთაყვანისმცემელთა" ცრუ გატაცებანი და ამ კარს მომდგარ ჭიაკოკონობის ღამეს ბარ გავაჭაჭანოთ ეს მავნე წესი!

ᲒᲐᲖᲗᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲗ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.

ᲪᲔᲪᲮᲚᲬᲐᲛᲙᲘᲓᲔᲑᲚᲔᲑᲘ

ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ რაიონში ყოველ წელს საკვირველი ამბავი მეორდება: შემოდგომით, როცა საზაფხულო საძოვრებიდან ცხვრის ფარები გაიკრიფება, ზოგი მეცხვარე ცეცხლს მისცემს ხოლმე გამხმარი, გაფიცხებული ბალახით დაფარულ ფერდობებს. ხანძარი ზოგჯერ ორ-სამ დღეს გრძელდება. კვამლი და ჭვარტლი ხეობებში ტრიალებს. ჩვეულებრივ ამგვარი ხანძარი ფერდობების შემომსაზღვრელ ნაკადულებან ხვეებს არ სცილდება ხოლმე, მაგრამ, თუ ცეცხლს ქარიც ზედ დაერთო, საფრთხე ექმნება ტყის კორომებს, ფიუნას, ახლო მდებარე სოფლების საზამთრო ნათიბ-მონაგარს...

მეცხვარეები ამგვარ მოქმედებას იმით ამართლებენ, რომ გადამწვარ ფერდობებზე ბალახი ადრე ამოდის და გაზაფხულზე ახალდაბრუნებული ცხვრისათვის, განსაკუთრებით ქორფა ბატკნისათვის კარგი საძოვარი იქნებაო.

ეს მცდარი შეხედულებაა. იქ, სადაც შარშანდელი მცენარეების ნაშთი (მთლიანად შემუსრულია, ბუნებრივია, ახლად ამოწვეული ნორჩი ბალახი ნაადრევი და გამორჩეული სიმწვანით „გამოანათებს", ვიდრე იქ, სადაც ის თავის წინამორბედ მოსავალთან არის შერეული. როგორც ჩანს, სამწუხაროდ, არავინ ფიქრობს იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ამგვარი ხანძრები მცენარეთა ფესვთა სისტემაზე, ბალახის ძირებით შემაგრებული ნიადაგის ათასწლოვან ჩამოყალიბებულ სტრუქტურაზე, ნადირ-ფრინველის საბუდარზე და ა. შ.

ამ საძრახისი საქმის მოქმედნი უცნობნი და დაფარულნი არ არიან. ისინი იმათგანნი არიან, მეცხვარეთა რომელ ბრიგადასაც კონკრეტული გადახრუკული ფერდობები ეკუთვნის. უფრო სწორად, საზაფხულო საძოვრად აქვს გამოყოფილი.

საძოვრებისათვის ცეცხლის წამკიდებლებს პასუხი უნდა მოეკითხოთ, როგორც ხანძრის განზრახ გამჩენთ, ბუნების მტრებს!

Ა. ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

* * *

ᲐᲛ ᲬᲔᲠᲘᲚᲛᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲒᲕᲘᲩᲘᲜᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲬᲐᲛᲙᲘᲓᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲠᲗᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲓᲐᲠᲦᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲔᲬᲐᲛᲚᲝᲡ.

ᲥᲝᲛᲐᲒᲘ: ᲕᲚᲐᲡᲘ ᲜᲔᲛᲡᲐᲫᲔ



„ᲓᲐᲗᲘᲔᲚᲘ თესლი კეთილი, შესარგო მამელისაო"... დიდი აკაკის ლექსის სტრიქონით იწყებს მწერალი გიორგი ნატროშვილი ნარკვევს — „როგორ გადაარჩინეს ზანდური და მახა", და სიყვარულით აგვიწერს ხორბლისა და მის მოამგეთა თავგადასავალს...

— ათასეული წლების წინ გამოიყვანა ქართველმა მეურნემ ზანდური და მახა. ისინი ძველთაგანვე სასელექციოდ იყო გამოყენებული და მომავალშიც ამ ფუნქციას შეასრულებენ. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ადრე მთელ საქართველოს, განსაკუთრებით რაჭა-ლეჩხუმის მინდვრებს მოდებული ეს ჯიშები დიდხანს არ ითესებოდა. მათი თესლიც აღარავის შემორჩა და ნელ-ნელა მათი სახელებიც კი დავიწყებას ეძლეოდა.

ქართველმა მეცნიერებმა დროულად ატეხეს განგაში. ამ მხრივ დიდებული თაოსნობა გამოიჩინა აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა. და აი, მისი რჩევა-დარიგებით წყალტუბოს ზონის სოფელ მექვენის სკოლამ ბიოლოგიის მასწავლებლის ვლასი ნემსაძის თაოსნობით იხსნა ზანდური და მახა გაქრობისა და დავიწყებისაგან.

ნიკო კეცხოველმა მექვენის სკოლას გაუგზავნა სათესლე მასალა და 1968 წლიდან ამ სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე ყოველწლიურად ითესება ზანდური და მახა, ხოლო მიღებული მოსავალი უსასყიდლოდ ეგზავნება რესპუბლიკის სოფლის სკოლებს.

ასე შეიქმნა მექვენის და რესპუბლიკის სხვა 400 სკოლაში ზანდური და ბუნება" დაუწერია — მთის ერთი პატარა სოფელი, მექვენი, მისი მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი, მეცნარე-ცხოველი, ბუნების ღირსშესანიშნაობანი, წარსული და აწმყო ბიოლოგი-ქომაგის თვალით შეუფასებია.

ცხადია, ნაშრომს კომპეტენტური რეკომენდაციებიც ახლავს. მაგრამ ყველაზე დამაჯერებელი რწმუნება ის არის, რაც სოფელშია — მიდი, ნახე და ისწავლე!

აი, თუნდაც, სკოლის დენდროპარკი. თვალსა და გულს ახარებს მცენარეთა მრავალფეროვნება და სილამაზე: ვარდები და ყვავილები, ვაზი და ნიგოზი, ნაძვი და ფიჭვი, ფარულთესლიანები და შიშველთესლიანები.

ამ წალკოტს სოფელი ვლასის პარკს უწოდებს, რადგან მისი თაოსნობით, ბოტანიკის სასკოლო უკავია, მეორე — ნაძვსა და სოჭს, მესამე—ბაძგს, შქერსა და წყავს, მეოთხე — ირმის ენას, კლდის ძირტკბილას, მთის ჩადუნას, მეხუთე — ფურისულას, ყოჩივარდას, ხარისძირას, მეექვსე — სოკოებს...

აქვეა სანერგე. საწარმო-დაწესებულებები და სოფლის მშრომელები ნერგს თუ თესლს უფასოდ იღებენ, სასურველ ადგილზე გადაიქვთ და ახარებენ.

რა თქმა უნდა, ვლასი ნემსაძის ასპარეზი მარტო სკოლა, მხოლოდ მექვენა არ ყოფილა. ამბროლაურის, ონის, წყალტუბოს რაიონების დაბა-სოფლებსა და თვით ქუთაისში მისი ნახელავი მრავალ ბაღს, ეზოს თუ გამზირს ამშვენებს, ხოლო ერთხელ შავში დასასვენებლად ჩასულმა რომ საქმე გაიკითა, ისეთია, ზღაპრისა გეგონება—კუროორტის გარშემო რაც ობოლი ასკილები იყო, ყველა ჩუმად დაამყნო თურმე. გავიდა ხანი. ტყიურ მცენარეში ვარდები აფეთქდა და დამსვენებლები ძლიერ გაოცა...

და მაინც, მექვენაა ადგილის დედა. აქ არის მისი ნაფერები მუხიანი ოთხ ჰექტარზე, 13 ძირი ურთხელი, სხვა მრავალი ბუნების ძეგლი, ერთიც გამორჩეული, „ციხე-სამოთხეანით დამშვენებული უზარმაზარი ლოდი, რომლის ბადალი, როგორც თვითონ ამბობს, ცისქვეშეთში არ მეგულებაო"...

და კიდევ, წყაროები, კლდით მოჩუხჩუხები, ოდესღაც დაკარგულები, დამეწყრილები, ახლა საოთუთად აღდგენილი და გაშენებული.

ვლასი ნემსაძეს პედაგოგიურ და ბუნებადაცვითს საქმეში გაწეული ამაგისათვის მრავალი ჯილდო აქვს მიღებული, მაგრამ მთავარი ჯილდო, უთუოდ, თანასოფლელთა თანადგომაა; გულმხურვალე ადამიანებს უყვართ იგი, ხოლო გულგრილები, რა თქმა უნდა, თვალს ვერ უსწორებენ — ერთ-ერთი საწარმო ჰაერს აფუჭებდა, გარემოს აპუჭყიანებდა, ჩვენმა ქომაგმა იმდენი იარა, იმდენი ქნა, რომ საწმენდი ამუშავდა...

ვლასი ნემსაძე 75 წლისაა, შემართება კი იმ ჭაბუკისა აქვს — ამ სამოცი, სამოცდახუთი წლის წინათ დერჩის სკოლაში, შემდეგ ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში დაუვიწყარი მექი ასათიანის და ალეკო მიქელაძისაგან მცენარეთა გამრავლებას, მოვლა-პატრონობას, დეკორატიულ მებაღეობას რომ სწავლობდა...

ახლა, უფრო შვილებსა და შვილიშვილებში, ხალხში ტრიალებს, ყველა ინტერესით უსმენს საზოგადოება „ცოდნის" დაუღალავ ლექტორს, რომლის სიტყვა ნათელია და საქმიანი, ხოლო საქმე მისაბაძი და სანიმუშო.

ᲓᲣᲓᲔ ᲒᲔᲓᲔᲜᲘᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲗᲐᲜ. ᲙᲝᲠ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ᲕᲚᲐᲡᲘ ᲜᲔᲛᲡᲐᲫᲔ ᲦᲝᲛᲘᲡ ᲧᲐᲜᲐᲨᲘ.

Გ. ᲛᲐᲜᲘᲐᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲝᲠᲘ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘ— ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲝᲭᲐᲚᲠᲐᲯᲕᲔᲑᲡ

ᲥᲐᲚᲗᲐ საკავშირო ჩემპიონატის შესარჩევმა ტურნირმა, რომელიც ქუთაისში მიეწყო, დიდი ინტერესი გამოიწვია. ფინალის 3 საგზურს 14 პრეტენდენტი ყაყადა, რამაც, ცხადია, ცხარე ბრძოლა გამოიწვია.

მთელი შეჯიბრება თანაბრად და ძლიერად წარმართა მსოფლიო ექსჩემპიონმა გოგონათა შორის ქეთევან არახამიამ (თბილისი). იგი კარგა ხანს არ ჩანდა ლიდერთა შორის, თუმცა ამას არ შეიძლებოდა არსებითი მნიშვნელობა ჰქონოდა — ქეთევანს, უბრალოდ, გადადებული პარტიები ჰქონდა. საბოლოდ თბილისელმა 13 შესაძლებლიდან 9 ქულა დააგროვა და პირველ ადგილზე გამოვიდა, რაც მის მორიგ ოდად წარმატებად ნიშნავს. ნოემბერში საერთაშორისო საქადრაკო ფედერაციამ უნდა განიხილოს არახამიასათვის საერთაშორისო დიდოსტატის წოდების მინიჭების საკითხი მისი ორი დიდი წარმატებისათვის. პირველი გახლავთ თბილისის შარშანდელ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვება, შეორე კი შარშანდელ გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონის წოდების მოპოვება. ასე, რომ, ქართველ დიდოსტატთა 85-ქულიან შორეულ ადგილზე გამოვიდა ალმაათელი ფლორა უსკოვა. ჩვენს გულშემატკივრებს ეს გვარი აქამდე არა სმენია. საქმე ის არის, რომ უსკოვა გახლავთ... მსოფლიო ექსჩემპიონი გოგონათა შორის ფლორა ჰასანოვა, საერთაშორისო და საკავშირო ტურნირების არაერთგზის მონაწილე და პრიზიორი. ესოდენ ძლიერი და გამოცდილი მონაწილის ფინალში გასვლა, რა თქმა უნდა, მოულოდნელი არ გახლავთ, მით უმეტეს, რომ ეს უფლება ალმაათელმა კარგი თამაშითაც დაიმსახურა.

და ბოლოს, მესამე საგზურს დაეუფლა ქუთაისელი ჰენრიეტა ლაგვილავა (8 ქულა), რომელიც, როგორც ყოველთვის, მტკიცედ და სიმშვიდით თამაშობდა. ლაგვილავა დღენადგან ოსტატდება. გოგონათა მსოფლიო ჩემპიონტში და თბილისის ქალთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობამ მას კარგი გამოცდილება შესძინა. ახლა იგი უფრო ფართო ასპარეზზე გამოდის — საქმე ჩვენი ქვეყნის უძლიერეს დიდოსტატებთან და ოსტატებთან ექნება.

Გ. ᲑᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. კარგა ხნის შესვენების შემდეგ განახლდა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. გთავაზობთ მორიგი 21-ე ტურის ორი მატჩის შედეგებს: „არარატი"-თბილისი „დინამო" — 2:0, „ნეფთჩი"-ქუთაისის „ტორპედო" — 1:1.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ლონდონში მიმდინარე მსოფლიო პირველობაზე გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩ-რევანშის გადადებული მეათე პარტია არ განახლდა. მოკვიდრეკენი უთამამებლად ყაიმზე შეთანხმდნენ და ახლა ანგარიშია 5,5:4,5 კასპაროვის სასარგებლოდ.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. ავსტრიაში დამთავრდა იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი. ფინალში იუგოსლავიის ნაკრებმა დაამარცხა სსრ კავშირის გუნდი ანგარიშით 111:85 და უძლიერესის წოდებას დაეუფლა. მესამე ადგილზე გამოვიდნენ